

ქ. თბილისი

6 სექტემბერი, 2016წ.

ერთის მხრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი გამგებელის ვაჟა ჩოხელის სახით და მეორეს მხრივ, ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ვასილ ხორავას სახით, ეხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ყველთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია საავტომობილო საწვავის (შემდგომში: „საწვავი“ ან „შესყიდვის ობიექტი“) შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, (ნაეთობაროდუქციის (საწვავის) 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიის მიერ 2016 წლის 1 თებერვალს გაცემული №110 და 2016 წლის 29 სექტემბერს გაცემული №106 ნებართვების საფუძველზე).

1.2 შესყიდვის ობიექტია:

- 1) 85 ლიტრი ღიზელი („დიზელ ენერჯი“).
- 2) 5 680 ლიტრი რეგულარი (ევრო.რეგულარი)

1.3 ხელშეკრულების ხელის მოწერის მომენტიდან დაიბლოკოს (გაუქმდეს) გასული ხელშეკრულების ფარგლებში დამზადებული პლასტიკური ბარათი შემდეგი სერია და ნომრით : LLJ 178, ხოლო მიმდინარე ხელშეკრულების პერიოდში, „მიმწოდებელი“ უსასყიდლოდ დაუმზადებს და გადასცემს „შემსყიდველს“ 1 ცალ ვისოლის პლასტიკურ ბარათს ავტომობილის შემდეგი სერია და ნომრით: WVN 106.

2. საწვავის ფასი და ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში:

- ერთი ლიტრი ღიზელის („დიზელ ენერჯი“) ფასი შეადგენს 1.29 ლარს
- ერთი ლიტრი რეგულარის („ევრო.რეგულარის“) ფასი შეადგენს 1.46 ლარს

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 8 402,45 (რვა ათას ოთხას ორი ლარი და ორმოცდახუთი თეთრი) ლარს, რაც შეიცავს დღ.გ.-ს, აგრეთვე საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა თანმდევ ხარჯს, მათ შორის საწვავის შენახვის ხარჯებს ავტოგასამართი სადგურებიდან მის გაყვამდე.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხობრივი მაჩვენებლები უნდა შესაბამისობაში იყოს საქართველოში მოქმედ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტი მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს პლასტიკური ბარათებით ან/და ტალონური სისტემით, მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურების ქსელის მეშვეობით. ამ შემთხვევაში, თუკი მიმწოდებელი გადაწყვეტს თავის ქსელში არსებული რომელიმე ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირების ან/და რომელიმე ავტოგასამართი სადგურზე წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სახეობის საწვავის რეალიზაციის შეწყვეტას, მან არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე უნდა აცნობოს შემსყიდველს აღნიშნულის თაობაზე, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ საწვავის მიწოდება შეტყობინებაში მითითებული ავტოგასამართი სადგურიდან აღარ განხორციელდება.

4.2 საწვავის ტალონების შემსყიდველისათვის გადაცემა/შემსყიდველის სპეციალურ ანგარიშზე საწვავის ჩარიცხვა განხორციელდება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესების დაცვით, ხელშეკრულების ხელმოწერის 2016 წლის 15 სექტემბრის ჩაივლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4.3 შემსყიდველის შეკვეთის საფუძველზე მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს ელექტრონულ ნაეთობაროდუქტების სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-შეაქტურას (შემდგომში - „ენსაფ“) მოთხოვნილი რაოდენობისა და სახეობის საწვავზე შემსყიდველი ვალდებულია სავალდებულოდ განაღდოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით ასევე ელექტრონულად მოახდინოს „ენსაფ“-ის დადასტურება არაუგვიანეს მისი ელექტრონულად გამოწერის დღისა. „ენსაფ“-ის დადასტურების შემდეგ შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს მალე-ჩაბარების აქტივ გადაეცემა მოთხოვნილი რაოდენობისა და სახეობის საწვავის ტალონები ან/და შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი რაოდენობისა და სახეობის საწვავი ჩარიცხვა (გააქტიურდება) შემსყიდველის სპეციალურ ანგარიშზე. მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს შემსყიდველის მიერ „ენსაფ“-ის ელექტრონულად დადასტურების მოთხოვნა. „ენსაფ“-ით გათვალისწინებული საწვავი დედება შემსყიდველის მიერ შეტყობინებულ და შემსყიდველს ანა ბიკს უფლება სადაც გახლოს ამ საწვავის შეტყობინებას უფლებამოსილ წარმომადგენელ „ენსაფ“-ში დაფიქსირებული საწვავის სახეობა, რაოდენობა, ფასი და სხვა არსებული პირობები ამისთანა შემსყიდველს არც ერთი საფუძველი არ შეუძლია სადაც გახლოს მისი მხრიდან შესაბამის „ენსაფ“-ის ელექტრონულად დადასტურების ფაქტს განაღდოს შესაბამის ელექტრონულ სამუშაოებთან წყვილად განაღდა მხოლოდ შემსყიდველს „ენსაფ“-ის ელექტრონულად დადასტურების მოთხოვნა ან დასტურდება მიმწოდებლის მიერ ამ შემსყიდველი სადაც განსაკუთრავს ამ პირობის კანონისა, რაიმეც უშუალოდ მოახდინოს შემსყიდველის მხრიდან „ენსაფ“-ის ელექტრონულად დადასტურებას.

4.4 ამ შემთხვევაში, თუკი შემსყიდველი ვერ უზრუნველყოფს 4.3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში „ენსაფ“-ის ელექტრონულად დადასტურებას, ან არ მოახდენს საწვავის შეკვეთის განხორციელებას 4.2 პუნქტში მითითებულ ვადაში, მიმწოდებელი უფლებამოსილი იქნება დაუყოვნებლივ ცალმხრივად მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება და უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის მიწოდებაზე, რაც არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მიმწოდებლის მიერ რომელიმე სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევად ან შეუსრულებლობად.

5. შესყიდვის ობიექტის მალე-ჩაბარების წესი

5.1 სატალონო სისტემით საწვავის მიწოდება მოხდება შემდეგი წესით:

ხელშეკრულების 4.3 პუნქტით დადგენილი პროცედურის დაცვით, მიმწოდებელი დაამზადებს მალე-ჩაბარების საფუძველზე გადასცემს შემსყიდველს (სპეციალური მინდობილობით აღჭურვილ პირს) შეტყობინებული საწვავის ტალონების დირექტორის ერთეულებში (10 და 20 ლიტრიანი ტალონის ნომინალებით). ტალონების გადაცემის შემდეგ მათი მალე-ჩაბარება დასრულდება.



განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე, ამასთან, უკვე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავის ტალონებზე გადაცვლას. ტალონზე აღნიშნული უნდა იყოს:

- მიმწოდებლის ლოგო წარწერით „ვისოლი“;
- ტალონის ნომერი;
- საწვავის სახეობა;
- საწვავის რაოდენობა.

შემსყიდველისათვის გადაცემული ტალონები გააქტიურდება და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება მხარეთა შორის ტალონების გადაცემის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) საათის გასვლის შემდეგ. ტალონების დაკარგვის შემთხვევაში, თუკი შემსყიდველი გონივრულ ვადაში სამუშაო საათებში აცნობებს მიმწოდებელს დაკარგვის შესახებ წერილობით და მოითხოვს დაკარგული ტალონების ნომრებს, მიმწოდებელი უზრუნველყოფს აღნიშნული ტალონების დაბლოკვას, მათი შემდგომი გამოყენების თავიდან აცილების მიზნით. ამასთან, შემსყიდველს არ აქვს უფლება მოითხოვოს დაკარგული ტალონების სანაცვლოდ ახალი ტალონების ან/და საწვავის გაცემა. დაკარგული ტალონების პოვნის შემთხვევაში, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ტალონების აღდგენას (ბლოკირების მოხსნას).

5.1.2 მიმწოდებელი ვალდებულია ტალონის ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენისთანავე გამართოს ავტომანქანა და/ან ჭურჭელი ტალონში აღნიშნული საწვავის ზარისხითა და რაოდენობით.

5.1.3 საწვავის გაცემა ხდება ტალონის წარმომდგენ ნებისმიერ პირზე.

5.1.4 ავტოგასამართ სადგურზე ტალონების წარმოდგენისთანავე შემსყიდველი ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ტყეადობების ან/და ჭურჭლის წარმოდგენა. ტალონებზე საწვავის გაცემისას ტალონის ნაწილობრივი განადგობა ან/და ხურდის დაბრუნება არ დაიშვება.

5.2 პლასტიკური ბარათების სისტემით საწვავის მიწოდება განხორციელდება შემდეგი წესით:

5.2.1 ხელშეკრულების 4.3 პუნქტით დადგენილი პროცედურის დაცვით, მიმწოდებელი თავის ვებ-გვერდზე გაუხსნის შემსყიდველს სპეციალურ ანგარიშს და უზრუნველყოფს შემსყიდველის მიერ შექმნილი საწვავის ჩარიცხვას აღნიშნულ ანგარიშზე. პლასტიკურ ბარათებზე საწვავის შემდგომი განაწილების მიზნით, სპეციალურ ანგარიშზე საწვავის ჩარიცხვის შემდეგ შემსყიდველს უფლება აქვს ანგარიშზე არსებული ნაშთის ფარგლებში შეუზღუდავად, თავისი შეხედულებისამებრ, მოახდინოს აღნიშნული საწვავის გადანაწილება მის კუთვნილ ერთ ან რამდენიმე პლასტიკურ ბარათზე ინტერნეტით, მიმწოდებლის ვებ-გვერდის საშუალებით, შემსყიდველის საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის გამოყენებით.

5.2.2 სპეციალურ ანგარიშზე საწვავის ჩარიცხვის შემდეგ საწვავი არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავზე გადაცვლას, ხოლო პლასტიკური ბარათის/ბარათების დაკარგვისას, დაზიანებისას ან განადგურებისას დაკავშირებული ყოველგვარი რისკი გადადის შემსყიდველზე.

5.2.3 შემსყიდველის პირველად საიდენტიფიკაციო სახელსა და პაროლს მიმწოდებელი მიღება-ჩაბარების აქტით დალუქული კონკრეტული გადასაცემის შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს და ამავდროულად უტარებს შესაბამის ინსტრუქციას საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის შეცვლისა და გამოყენების წესების შესახებ. შემსყიდველი ვალდებულია ანგარიშის პირველ გამოყენებამდე და პლასტიკურ ბარათებზე საწვავის გადატანამდე შეცვალოს მიმწოდებლის მიერ გადაცემული პაროლი და შემდგომში გამოიყენოს მხოლოდ მის მიერ შექმნილი ახალი პაროლი. პირველადი საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის შემსყიდველის წარმომადგენლისათვის გადაცემისთანავე ყოველგვარი პასუხისმგებლობა და რისკი საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის არასანქცონირებულ გამოყენებაზე, ელექტრონული ანგარიშთან პლასტიკურ ბარათებზე საწვავის უნებართვო გადატანითა და სხვა მსგავს შემთხვევებზე, ავრთვე ამით გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებზე, გადადის შემსყიდველზე.

5.2.4 საწვავის გაცემა მოხდება პლასტიკური ბარათის წარმომდგენ ნებისმიერ პირზე. შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია პლასტიკურ ბარათზე კონკრეტული ავტომანქანის სახელმწიფო ნომრის და სერიის გამოსახვა. ასეთი ბარათის ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენისას, საწვავის ჩასხმა მოხდება მხოლოდ ბარათზე აღნიშნული სახელმწიფო ნომრის და სერიის მქონე ავტომანქანის ავზში, ხოლო ნებისმიერი სახის დამატებითი ტყეადობებში (ჭურჭელში) ან სხვა ავტომანქანის ავზში საწვავის ჩასხმა არ განხორციელდება.

5.2.5 პლასტიკური ბარათი ადასტურებს მისი წარმომდგენლის უფლებას ავტოგასამართ სადგურზე მიიღოს ბარათზე ჩატვირთული შესაბამისი საწვავი. პლასტიკური ბარათის დაკარგვის ან/და დაზიანების შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია დაუყუენებლად წერილობით აცნობოს ამის შესახებ მიმწოდებელს, რათა მოხდეს ამ ბარათის ბლოკირება. ამასთანავე, ბლოკირებამდე ბარათების გამოყენებით გამოწვეულ შედეგებზე ყველაწიერი პასუხისმგებლობა და რისკები ეკისრება მხოლოდ შემსყიდველს.

5.2.6 შემსყიდველი ვალდებულია პლასტიკური ბარათი შეინახოს მზისგან, ელექტრული და მაგნიტური ელემენტებისგან (მობილური ტელეფონი, ტრანსფორმატორი, ტელევიზორი და სხვ.) დაცულ ადგილას, ასევე არ მოახდინოს პლასტიკური ბარათის გაღრმვა. მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ბარათის დაზიანებაზე. პლასტიკური ბარათის ფიზიკური დაზიანების ან/და დაკარგვის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს შეიძინოს ახალი ბარათი და ითხოვოს მასზე ბლოკირების შემდეგ არსებული ნაშთების გადატანა. პლასტიკური ბარათის პროგრამულად დაზიანების შემთხვევაში, მიმწოდებელი უსასიდელოდ დაუმზადებს შემსყიდველს ახალ პლასტიკურ ბარათს.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (კაღები)

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ლარებში, უნაღლო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს შექმნილი საწვავის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების 4.3 პუნქტის მიხედვით შესაბამისი "ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდრული დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1 შეამოწმოს მიწოდებული საწვავის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.1.2 განხორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

7.1.3 უარი თქვას უხარისხო საწვავის მიღებაზე.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 წერილობით აცნობოს მიმწოდებელს საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული ვარიანტი შესახებ;

7.2.2 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.2.3 დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.3.1 მოითხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საწვავის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული



პირობებით;

7.3.2 დროებით (არაუმეტეს 1,5 საათისა) შეაზღოვოს საწვავის გაცემა ამა თუ იმ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის მიღების დროს და მიღების შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის და მომხმარებლების უსაფრთხოება და საწვავის სათანადო ხარისხი;

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1 შემსყიდველის შეკვეთის მიღებიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში გამოუწეროს მას „ენსაფ“-ი მოთხოვნილ საწვავზე, ხოლო „ენსაფ“-ის ელექტრონულად დადასტურებისთანავე ჩაურიცხოს შემსყიდველს საკვიალურ ანგარიშზე შეძენილი საწვავი (საწვავის პლასტიკური ბარათებით მიწოდების შემთხვევაში) ან „ენსაფ“-ის ელექტრონულად დადასტურებიდან ორი სამუშაო დღეში მოამზადოს შესაბამისი რაოდენობისა და სახეობის საწვავის ტალონები შემსყიდველზე გადასაცემად (საწვავის ტალონური სისტემით მიწოდების შემთხვევაში);

7.4.2 გააფრთხილოს შემსყიდველი საწვავის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ;

7.4.3 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საწვავის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიწოდებული საწვავის ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით.

8.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დროულად გადაუხდელი თანხის 0.1 პროცენტის ოდენობით. ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

8.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და გეროიან შესრულებამდე (საწვავის შეტენის ვადა – 2016 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით).

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი, ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, ეკისრება შემსყიდველის მიერ შექმნილ ინსპექტირების ჯგუფს. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

13. სხვა პირობები

13.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს შესაძენ პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2 შესაძენ პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თვითნებურ სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერულ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

მის: ქ. დუშეთი რუსთაველის # 27

ს/კოდი: 229324451

ტელ: ელ.ფოსტა: info@duseti.gov.ge

ტელ: 591 237820

გამგებელი

ვაჟა ჩოხელი

მიმწოდებელი:

ს/ს „ეთიხლო პეტროლიუმ ჯორჯია“

მის: ქ. თბილისი, ა. ჭავჭავაძის გამზ. №74ბ

ს/ს „თიბისი ბანკი“

მარჯანიშვილის ფილიალი

ს/კოდი: TFCBGE22

ს/ს: GE4817110000018467453

ს/გა: 202161098

ს/ს „ეთიხლო პეტროლიუმ ჯორჯია“

გენერალური დირექტორი

ს/ს: 202161098

ს/ს: 202161098

ს/ს: 202161098